ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

18 აპრილი
ხუთშაბათი
2024 წელი
№15 (9330)
ფასი 40 თეთრი

2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამატებული ახალი პროგრამები

1. სრული სამედიცინო დაფინანსება გაეწიოთ 5 წლამდე ასაკის ბავშვებს, ასევე საპენსიო ასაკის პირებს. **მაქსიმალური გასაცემი თანხაა 3000 ლარი.**

2. ასევე ახალშობილის ოჯახი 12 თვის განმავლობაში ყოველთვიურად მიიღებს 100 ლარს; ასევე დახმარებას მიიღებს ის ოჯახი, რომლის ახალშობილი დაიბადა წინა წლის დეკემბერში.

3. მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით ისარგებლებს ყველა მოქალაქე სტაციონარში წოლის შემდგომ 100 ლარის ნაცვლადდ 200 ლარით.

4. მედიკამენტების შესაძენად საპენსიო ასაკის სოციალურად დაუცველი ის ბენეფიციარები, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 200 000-ს (წინა წელს ქულა იყო 65 000) დახმარება გაეწიოთ 200 ლარის ოდენობით ერთჯერადად.

5. მედიკამენტების შესაძენად ერთჯერადად 500 ლარის ოდენობით დახმარება გაეწიოთ შშმ ვეტერანებს.

6. 100 ლარის ნაცვლად 200 ლარით დაფინანსდებიან ის ბენეფიციარები, რომლებიც იმყოფებიან მუდმივ მწოლიარე მდგომარეობაში, არ ექვემდებარებიან გადაადგილებას და ესაჭიროებათ მედიკამენტების და ჰიგიენური საშუალებების შეძენა.

7. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვის მედიკამენტებით უზრუნველყოფა ერთჯერადად 100 ლარის ნაცვლად იქნება 150 ლარი;

8. 100 წელს გადაცილებული მოქალაქეები ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით დახმარების გარდა მიიღებენ 100 წლის იუბილეზე ერთჯერადად 1000 ლარს.

9. კრიზისულ სიტუაციაში მყოფ ბავშვებს „ბავშვთა საერთაშორისო დღე“-სთან დაკავშირებით ერთჯერადად ჩაერიცხებათ 100 ლარის ოდენობის თანხა;

10. მრავალშვილიანი ოჯახების კომუნალური გადასახადების წილობრივი დაფინანსება 45 ლარის ნაცვლად გაიზარდა და გახდა 60 ლარი; ასევე აღნიშნული სუბსიდირებით მრავალშვილიან ოჯახებთან ერთად ისარგებლებენ მარტოხელა მშობლები;

11. ონკოლოგიურ პაციენტებს საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაეწევათ მედიკამენტების შესაძენად.

სპუმრად „თებეს"“ ბენეფიციარებთან

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოს წევრები დღის ცენტრ „თებეს"“ ბენეფიციარებს ესტუმრნენ, მათთან ერთად სხვადასხვა აქტივობებში მიიღეს მონაწილეობა და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

გაიმართა ლიტერატურული კომპოზიცია

ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრში, ტრენინგ ცენტრი „ჩვენი ბორჯომისათვის“ მოსწავლეების ორგანიზებითა და მონაწილეობით ლიტერატურული კომპოზიცია „ხეები ლექსებით იფარჩება“ გაიმართა, რომელიც სხვადასხვა მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრების ფონზე მიმდინარეობდა.

ლიტერატურულ საღამოს **დეკანოზი იოანე (ხეცურიანი),** ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და სამოქალაქო საზოგადოების წევრები ესწრებოდნენ.

განახლების ნაბიჯები ჟურნალისტთა ფედერაციაში



2024 წლის 12 აპრილს, თბილისში გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის XVIII (რიგგარეშე) ყრილობა.

ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე **გიორგი მამაცაშვილი,** რომელმაც კონკრეტულად ისაუბრა ერთი წლის მანძილზე განხორციელებულ ღონისძიებებზე.

მომხსენებელმა სიმაყით აღნიშნა, რომ ჟურნალისტთა შემოქმედებით ოფისს, რომელსაც ყადაღა ქონდა დადებული და გაყიდვას ექვემდებარებოდა, მისი დიდი ძალისხმევით გამოსყიდულია, ვალი დაფარულია და ეს დიდი საშვილიშვილო საქმე დადებითადაა გადაწყვეტილი.

შეიცვალა ჟურნალისტთა დღემდე არსებული დასახელება და ამიერიდან ეწოდა **საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია,** ასევე შემუშავებულია ჟურნალისტთა ფედერაციის ლოგო.

დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს ჟურნალისტთა ფედერაციის ახალი წესდება.

აირჩიეს ხუთკაციანი კოლეგია, ასევე აირჩიეს გამგეობის რვაკაციანი შემადგენლობა და ჟურნალისტთა საზოგადოების პრეზიდიუმი.

სიტყვებში გამოვიდნენ და მეტად საქმიანი წინადადებები ჩამოაყალიბეს ჟურნალისტთა ფედერაციის სამომავლო გეგმებზე ცნობილმა ჟურნალისტებმა **არჩილ გოგელიამ, პაატა ნაცვლიშვილმა, ნანა დევდარიანმა, თამთა ბეროშვილმა, ლაშა ნადარეიშვილმა, ბონდო ჩიგოგიძემ, აკაკი სიხარულიძემ, მაია კახიძემ, მარინა თექთუმანიძემ** და სხვებმა. ამასთან ყურადღება გამახვილდა ჟურნალისტების საქმიანობაში არსებულ სერიოზულ პრობლემებზე.

როგორც ყრილობაზე ითქვა, ახლო მომავალში გათვალისწინებულია მთელი რიგი ორგანიციული საკითხები, რომელთა გადაწყვეტა მნიშვნელოვნად აამაღლებს ჟურნალისტთა ავტორიტეტს და გადაწყდება მათი სოციალური საკითხებიც. ხაზგასმით ითქვა, რომ დაუშვებელია ჟურნალისტთა დევნა-შევიწროვება და აგრესია. ყრილობაზე ერთხმად აღინიშნა, ვემხრობით გამჭვირვალობას. შეიქმნა ახალგაზრდა ჟურნალისტთა კლუბი, გადაწყდა მნიშვნელოვნად გაიზარდოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრთა რიგები. როგორც ჟურნალისტთა ფედერაციის ყოფილმა თავმჯდომარემ ბატონმა **აკაკი სიხარულიძემ** აღნიშნა, 35 წლის წინათ ჟურნალისტთა ფედერაციის წევრთა რაოდენობა 3600 ჟურნალისტს აერთიანებდა. დღეს მათი რიცხვი მინუმამდეა შემცირებული, რაც არასასიამოვნო ფაქტია.

ყურადღება გამახვილდა ჟურნალისტთა სოციალურ პრობლემათა გადაწყვეტაზე, ღირსეულ ჟურნალისტთა დაფასებაზე და დაჯილდოებაზე.

დელეგატებმა მოიწონეს წინადადება ქართული ჟურნალისტიკის ერთიანი დღის დაწესების თაობაზე, დაწესდა ჟურნალისტთა უმაღლესი ჯილდო - ილია ჭავჭავაძის ,,ივერიის“ ოქროს მედალი.

ჟურნალისტებს საშუალება ექნებათ ჯანმრთელობა აღიდგინონ და სამედიცინო კვლევა ჩაიტარონ საქართველოს ცნობილ კლინიკებში.

ყურადღება გამახვილდა საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის საერთაშორისო ჟურნალისტთა ფედერაციებთან კავშირების განმტკიცებაზე და სხვა.

გამოითქვა რწმენა და იმედი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია მტკიცედ იბრძოლებს ჟურნალისტთა ავტორიტეტის და შრომის პირობების დაცვისათვის.

ვალერიან ლომიძე

ითვლება განათების ქსელის სრული რეაბილიტაცია

ბორჯომში, აღმაშენებლის და რუსთაველის ქუჩაზე, ასევე ახალდაბაში ბორჯომის ქუჩაზე გარეგანათების ქსელის სრული რეაბილიტაცია იგეგმება.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარეგანათების ბოძებზე არსებული საჰაერო ხაზების ჩატანა მიწის ქვეშ და ახალი გარეგანათების ლამპიონების მოწყობა.

აღნიშნული სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

ლიბანში ორი სპორტული მოედანი მოეწყობა

პროექტის ფარგლებში, მესხეთის ქუჩის №85-ში, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული მოედანი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა, სკვერში დაგეგმილია გამწვანების სამუშაოები, გაზონების და გარე განათების ქსელის მოწყობა, ასევე მოეწყობა დასასვენეველი სივრცეები.

მესხეთის ქუჩის №39-ში, სკვერის მოწყობის პროექტი ითვალისწინებს, საერთო სამშენებლო სამუშაოებს, საპარკე სკამებისა და სანაგვე ურნების მონტაჟს,

გარე განათების, წყლისა და კანალიზაციის ქსელის მოწყობას.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირებისთვის უმთავრესი პრიორიტეტი რეკრეაციული სივრცეებისა და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. ახალგაზრდებისთვის სპორტული და გასართობი ზონების მოწყობა მომავალშიც გაგრძელდება.

რატომ ეშინია ოპოზიციას ახალი კანონის მიღების?!



პარლამენტში ინიცირებულ კანონპროექტს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ოპოზიციის მხრიდან ვნებათაღელვა არ მოკლებია და შარშანდელი მარტის მოვლენების გამეორება დაიწყეს. მთელმა რიგმა ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა **გიგა მაქარაშვილმა, რომან გოცირიძემ** და სხვებმაც ხაზგასმით მოუწოდეს საზოგადოების წარმომადგენლებს ,,**რევოლუციისკენ“, „ქუჩაში გამოსვლისაკენ“,** ხოლო **ელისაშვილმა** ტელევიზიით მოუწოდა ხალხს **„აბჯარი აისხით, მოემზადეთ, დიდი ვნებათაღელვა და ცემა-ტყეპა გველის“-ო.** ეს უკანასკნელი არც პარლამენტარის ფიზიკურ შეურაცხყოფას ერიდება.

ასეთი რადიკალური ძალები მარტო საქართველოში კი არა, საზღვარგარეთაც საკმაოდ გვყავს ავისმთქმელები და ქართული სახელმწიფოს მაგინებლები. ის, რაც შარშან მარტში ვერ აისრულეს, წელს უნდათ მიზანს მიაღწიონ და არეულობის მოწყობით ხელში ჩაიგდონ ხელისუფლება, რომელიც ამ 10-12 წლის წინ დაკარგეს. ამიტომ იძახიან ,,საქართველოს ხელისუფლებას ,,რუსული კანონის“ ინიცირება სურს, ანტიდასავლურ გზას ადგას და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შანს კარგავსო“.

მოკლედ რომ ვთქვათ, რადიკალური ოპოზიცია შფოთავს და ხალხის ქუჩაში გამოყვანისათვის ემზადება.

საინტერესოა, რატომ უნდათ გაუთვითცნობიერებელი ხალხის ქუჩაში გამოყვანა, რატომ ნერვიულობენ **„უცხოური გავლენის გამჭვირვალეობის გამო“,** როცა ასეთი ტიპის კანონი, ამავე დროს უფრო მკაცრიც და რადიკალურიც ამერიკაშიც მოქმედებს და ევროკავშირის ქვეყნებშიც.

საინტერესოა, რას ითხოვს კანონპროექტი არასამეწარმეო, არასამთავრობო და მედიაორგანიზაციებისაგან? ბევრს არაფერს. არსამთავრობო ორგანიზაციებისაგან ითხოვენ თუ შემოსავლის 20 პროცენტზე მეტს უცხოეთიდან მიღებული დაფინანსება შეადგენს, ვალდებულია ყოველ წლის იანვარში იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში განათავსოს დეკლარაცია, წინა წელს მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ, ამასთან ახალი კანონის შესაბამისად არასამთავრობო და მედიაორგანიზაციებმა შემოსავლები და ხარჯები დეკლარაციაში უნდა ასახონ არა უცხოეთიდან დაფინანსების მიღებისთანავე, არამედ მას შემდეგ, რაც მიღებულ დაფინანსებას აითვისებენ და სხვადასხვა პროექტსა თუ ღონისძიებას მოახმარენ.

კანონის შესაბამისად არასამთავრობო ორგანიზაცია ვალდებული არ იქნება, საჯარო რეესტრში წინასწარ წარადგინოს დეკლარაცია, - თუ რა რაოდენობის თანხა მიიღო უცხოეთიდან და რა თანხა დაიხარჯა პროექტის შესასრულებლად, ამასთან სახელმწიფოს ეკრძალება დაუბლოკოს დაფინანსება, ან რაიმე პროექტის ან კამპანიას განხორციელების უფლება არ მისცეს.

კანონპროექტის მიხედვით არასამეწარმეო იურიდიული პირი - არასამთავრობო და მედიაორგანიზაცია, რომელიც საჯარო რეესტრში არ წარადგენს დეკლარაციას უცხოეთიდან მიღებული დაფინანსებისა და მისი ხარჯვის შესახებ 25 ათასი ლარით დაჯარიმდება, ხოლო თუ კანონის დარღვევას კვლავ გააგრძელებს, თვეში ერთხელ 20 ათას ლარიან ჯარიმას გადაიხდის.

სულ ესაა ამ კანონის შინაარსი და სხვა არანაირ სანქციას და სასჯელს არ ითვალისწინებს. ამ ორგანიზაციებს არც აკრძალვა და გაუქმება არ ემუქრება. მიუხედავად ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციები და მედიაორგანიზაციები ჯიუტად გაიძახიან, კანონი რუსულიაო.

რატომ ეწვით კუდი ამ ორგანიზაციებს, ესეც ცნობილია. უცხოეთის სახელმწიფოებიდან თუ კერძო ფონდებიდან მსუყედ დაფინანსებულ არასამთავრებო ორგანიზაციებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებად შენიღებულ პოლიტიკურ ჯგუფებს არ სურთ ოფიციალურად საკანონმდებლო დაერქვათ ის სახელი, რაც ქართული ხალხის უდიდეს ნიწილს დიდი ხანია ჰქვია - უცხო ძალის ინტერესების გამტარებელი. სწორედა ამ სახელის ტარების ეშინიათ!

ვალერიან ლომიძე

პოლიტიკური არჩევანი

გაზეთი „ბორჯომის“ ახალმა რუბრიკამ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და მოქალაქეებს ღიად მისცა შესაძლებლობა დეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია, გამოეთქვათ არგუმენტირებული მოთხოვნები ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი. ბალანსისათვის და ობიექტურობის თვალსაზრით, რომელიც გაზეთის სარედაქციო პოლიტიკას წარმოადგენს და აუცილებელ პირობად ითვლება მედია საშუალებებისათვის, ამასთან დაუწერელ კანონსაც წარმოადგენს ჟურნალისტებისათვის, რომ თანაბრად გაშუქდეს ყველა მხარის მმართველი პარტიის თუ ოპოზიციის პოზიცია, მოყვანილი ფაქტებისა და არგუმენტების ანალიზის საშუალებით კი მკითხველმა თავად მიიღოს სწორი გადაწყვეტილება.

ზემოთ აღნიშნული ჟურნალისტური ეთიკისა და ობიექტურობის თვალსაზრისით ,,პოლიტიკურ არჩევანში“ მონაწილება ვთხოვეთ ოპოზიციური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რათა დაითიქსირებინათ და გაეცნოთ მათი ხედვა და არჩევანი მოქალაქეებისთვის. არაერთი შეტყობინებისა და ზარების მიუხედავად მათგან უკუკავშირი ვერ მივიღეთ, ამ შემთხვევაში დუმილი თანხმობის ნიშანი კი არა, უარის ნიშანი იყო. სამწუხარო რეალობის წინაშე აღმოვჩნდით, რადგან ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს არ სურთ უპასუხონ ჩვენს მიერ დასმულ შეკითხვებს, რომელებიც მხოლოდ და მხოლოდ მათ ოფიციალურად ღია, ოპოზიციურ პოლიტიკურ არჩევანს უკავშირდება. მსჯელობისათვის და საზოგადოებამდე სათქმელის მისატანად ჩვენ მათგან ვერ მივიღეთ პასუხები.

იმედს ვიტოვებთ, რომ სამომავლოდ მაინც გამოთქვამენ სურვილს გაშუქდეს მათი ხედვა პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით და მივიღოთ პასუხი კითხვებზე, თუ რატომ არის მათი პოლიტიკური არჩევანი სწორი გადაწყვეტილება?! როგორი უნდა იყოს კარგი პოლიტიკოსი?! როგორი პოლიტიკური გამოცდილება დაუგროვა წლებმა?! და ა.შ.

მცირე მიმოხილვის შემდეგ, საჭიროდ ვთვლი, მკითხველმა ხანდახან მაინც შემოიხედოს ჩვენს სამუშაო სიივრცის ჯულუარებში და ის კი არ თქვან, გაზეთში მხოლოდ პოზიციური, დადებითი ამბები იბეჭდება და ყველაფერი რიგზეაო. ჩვენი მიზანია, თქვენამდე ობიექტურად მოვიტანოთ ადგილობრივი ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიებისა და მოქალაქეების პოზიცია, რომლებიც დაუფარავად აფიქსირებენ არჩევანს.

ჩვენი რედაქტორის ხშირად თქმულ სიტყვებსაც გავიმეორებ, გაზეთი მაშინ არის დამოუკიდებელი, როდესაც ერთ გვერდზე გაკეთებულ საქმეზე წერ და მეორე გვერდზე გასაკეთებელს აკრიტიკებო.

საბედნიეროდ, თუ სამწუხაროდ, ჟურნალისტებს გვაქვს მესამე თვალი, რომლითაც ვხედავთ იმას, რისი დანახვაც სხვა პროფესიის ადამიანებს არ შეუძლიათ.

ამ ფაქტებმა უშუალოდ პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლებამდე მიმიყვანა. გაღმა შეედავე, გამოღმა რომ დაგრჩესო. ნულარ შეგვედავებით ბატონებო და ქალბატონებო, რომ ჩვენ ობიექტურები არ ვართ. თვეებია პოზიციის დაფიქსირებას გთხოვთ, მაგრამ არსაიდან ხმა არსით ძახილი.

და ბოლოს, მადლობა მათ, ვინც „პოლიტიკურ არჩევანში“ რესპონდენტობას დათანხმდა და ჩვენი ინტერვიუც შედგა.

იზა იანვარაშვილი

ბაბუაწვერას ჰგავს...

ვფიქრობ და კაცის ცხოვრებაც
ბაბუაწვერას ჰგავს,
მასავით ვეთამაშებით
ამ წუთისოფლის ჟამს.
მოვალთ ამქვეყნად, ვხალისობთ,
გულს გადავუშლით მზეს,
მივდევთ ხალისით, ტაატით,
ჩვენს წილ გასავლელ გზებს.
ვიღაცას წამლად ვედებით,
მალამოს ვუფენთ გულს,
ვიღაცა მწარედ მოგვშხამავს,
ანთხევს ბოღმას და შურს.
ბოლოს ღეროზე შევრჩებით
ულონო, სუსტი ძაფი,
სულს დაგვიბერავს, წაგვიღებს
სადღაც მაცდური ქარი.
სხვებს ისე გავახსენდებით,
როგორც დავტოვებთ კვალს,
ვინ რა სიმძიმით ვატარებთ
ჩვენს სატარებელ ჯვარს.

იყო და არა იყო რა,
ჩაქრება ჩვენი სანთელიც,
უფალო, ჩვენს წასულ სულებს
არ მოკლებოდეთ ნათელი.
ისევ ახალ ყლორტს ამოყრის
ბაბუაწვერა გაზაფხულს,
უფალო, ქრისტეს საუფლოს
ნუ დაუყენებ დასასრულს.

იზო სარქისიანი

წინასაღდგომო აქცია მრავალშვილიანი ოჯახებისათვის!

23-დან 27 აპრილის ჩათვლით გაიარეთ უფასო კონსულტაცია ორთოპედ ნუნუ გეგეშიძესთან.

ამისთვის, საჭიროა, თან იქონიოთ:

შვილების დაბადების მოწმობები

ვიზიტის დასაჯავშნად, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:

ტელ: 0322 25 36 02; 591 25 36 02

„მწვანე ძალა“ ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად

ეკოლოგიური პრობლემები ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაა. გარემოში უამრავი გლობალური პრობლემა ადამიანის არასწორი საქმიანობის შედეგია, რომლის აღმოფხვრაც ისევ ადამიანების გონივრულ ქმედებებს შეუძლიათ. დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლებას აღნიშნული საკითხის ირგვლივ. ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ რველის საჯარო სკოლაში 2022 წლიდან ფუნქციონირებს ეკოკლუბი „მწვანე ძალა“. სასკოლო კლუბის ძირითად მიზანს წარმოადგენს კლუბის ფარგლებში მოსწავლეების მიერ სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება. ამით კი მოსწავლეებს უვითარდებათ სხვადასხვა პრობლემისადმი კვლევის, ანალიზის, სინთეზის უნარები, რაც გამოიწვევს მიღებული ცოდნის ტრანსფერს მათ მომავალ ცხოვრებაში. კლუბის წევრები წინასწარ განერილი გეგმის მიხედვით ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს და ღონისძიებებს. მათ აქვთ, როგორც ადგილობრივი აქტივობები, ასევე მუნიციპალიტეტის გარეთ არსებული აქტივობებიც. კლუბს აქვს სოციალურ ქსელში „ინსტაგრამ გვერდი“. კლუბის საქმიანობის ხელშეწყობაში დიდი წვლილი მიუძღვის სკოლის დირექტორს ქალბატონ **ნესტან ლილუაშვილს**. კლუბის საქმიანობის, განხორციელებული აქტივობებისა და სამომავლო გეგმების შესახებ დეტალურად მოგვიყვებიან სკოლის დირექტორი და კლუბის ხელმძღვანელი პედაგოგები:

რამდენი ხანია, რაც ეკოკლუბი ჩამოყალიბდა, რამდენად მნიშვნელოვანია ეკოლოგიის საკითხებზე მუშაობა სკოლის მოსწავლეებისთვის და რომელ აქტივობებს გამოარჩევდით, რომელიც აქამდე განხორციელდა?

ნესტან ლილუაშვილი, რველის საჯარო სკოლის დირექტორი: - ეკოკლუბი ორი წელია შეიქმნა. სკოლას შეეტყო კლუბის ეფექტური და მოტივირებული მუშაობა. ახლაც მუშაობენ ნიკო კეცხოველის გრძელვადიან პროექტზე, ბავშვებს ძალიან მოსწონთ, არიან აქტიურად ჩართულები და იმედს ვიტოვებ, რომ აღნიშნულ პროექტსაც წარმატებით განახორციელებენ. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა

საბუნებისმეტყველო საგნის პედაგოგებს, რომლებიც ასევე აქტიურად მუშაობენ, რათა ბავშვებში გააღრმავონ ინტერესი ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრის მიმართ.

ალინა შალამბერიძე, ფიზიკის პედაგოგი: უკვე მეშვიდე წელია ვასწავლი რველის საჯარო სკოლაში პროგრამა „ასწავლე საქართველოს“ ფარგლებში. ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია დავეხმაროთ მოსწავლეებსა და პედაგოგებს, რომ ავუმაღლოთ შესაბამისი ცნობადობა მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ. გვაქვს სხვადასხვა შემეცნებითი აქტივობები, როგორც ადგილობრივ, ასევე მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთაც. სხვადასხვა პრობლემის შესახებ მოსწავლეები ამზადებენ ბუკლეტებს და ავრცელებენ თემში, რათა განხორციელდეს სწორი და ეფექტური მიდგომები გარემოს დაცვის კუთხით. მაგალითად 22 მარტს აღვნიშნეთ „წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე“. გავაკეთეთ პრეზენტაცია, ნახატების გამოფენა, დავასუფთავეთ მდინარის მიმდებარე ტერიტორია. მთავარი არის ის, რომ ბავშვები აქტიურად არიან ჩართულები, ეს მათთვის საინტერესოცაა და სახალისოც. კლუბის წევრები არიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები, მაგრამ აქტივობებში ერთავთ დაწყებითი კლასის მოსწავლეებსაც, რათა ადრეული ასაკიდანვე ავუმაღლოთ ცნობადობა გარემოს დაცვითი საკითხების ირგვლივ.

ინგა ბლიაძე, ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის პედაგოგი: - ჩვენი კლუბის მთავარ მიზანს წარმოადგენს ის, რომ ბავშვებმა ისწავლონ დამოუკიდებლად აზროვნება, დაგეგმვა, პროექტების განხორციელება იმ პრობლემატური საკითხების მიმართ, რასაც გლობალური დათბობა და კლიმატური ცვლილებები იწვევს. ბავშვებს ხშირად უწევთ მოსახლეობასთან შეხვედრები. დაგეგმილი გვაქვს სოფელ დაბის გადამწვარ ტერიტორიაზე ხეების დარგვა, რაც საგრძნობლად შეამცირებს ტემპერატურის მატების პროცესს.

ნონა კვიყინაძე, ქიმია -ბიოლოგიის პედაგოგი: - მსოფლიოს მოსახლეობის ზრდასთან ერთად მოიმატა პრობლემებმა გარემოს დაბინძურების კუთხით. განსაკუთრებით მნიშვნელოვან პრობლემას ნარჩენების საკითხი წარმოადგენს. კლუბის წევრებმა გავაკეთეთ პრეზენტაცია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, ასევე მოსწავლეებმა დაამზადეს ბუკლეტები პოლიეთილენის პარკებისა და ბოთლების მიერ გამოწვეული საშიშროებების შესახებ და გაავრცელეს მოსახლეობაში. მინდა აღვნიშნო ის, რომ ყოველი თვის აქტივობა არის სხვადასხვა პრობლემაზე ორიენტირებული. ორი წლის განმავლობაში დავგეგმეთ და განვახორციელეთ სხვადასხვა პროექტი, აქტივობები, ღონისძიებები და ასევე შემეცნებითი ექსკურსიები. გამოვარჩევდი სკოლის ტერიტორიის გამწვანების აქციას, დავრგეთ ხეები და გავალამაზეთ სკოლის ეზო. ახლა ვგეგმავთ, რომ სოფელ დაბის ტერიტორიაზე დავრგოთ ხეები და ჩვენი მცირეოდენი წვლილი შევიტანოთ გარემოს დაცვაში. ვფიქრობთ, რომ ჩვენი ხარჯებით შევიძინოთ ნერგები, მაგრამ თუ ამაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და სატყეო სამსახურიც დაგვეხმარება მოხარულები ვიქნებით.

ანა მახარობლიძე IX კლასის მოსწავლე: - მეორე წელია, რაც ეკოკლუბის წევრი ვარ. ხშირად ვახორციელებთ სხვადასხვა აქტივობებს. აქტიური შეხება გვაქვს ბუნებასთან, რაც გვიმაღლებს მოტივაციას, რომ უფრო დავუახლოვდეთ საბუნებისმეტყველო საგნებს. ყველაზე მეტად გამოვარჩევდი ექსკურსიას აბასთუმნის ობსერვატორიაში. საკუთარი თვალით დავინახეთ პლანეტები, რამაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

მარიამ გურგენიძე IX კლასის მოსწავლე: - ჩვენ კლუბში აქტივობები სახალისო და შემეცნებითია. გამოვარჩევდი ბორჯომის ჩამომსხმელ ქარხანაში ჩვენს ვიზიტს, სადაც დეტალურად გავეცანით სამუშაო პროცესს. ვაფასებ თითოეული პედაგოგის შრომას. ისინი გვეხმარებიან, რომ მეტად დავუახლოვდეთ ბუნებას, მისი მოვლა და გაფრთხილება ხომ ჩვენი მოვალეობაა.

ნატალი ოქროპირიძე IX კლასის მოსწავლე: - ჩვენ დიდი როლი გვაკისრია, რომ ავამაღლოთ ცნობადობა ეკოლოგიის პრობლემების შესახებ მოსახლეობაში. გათავისებული გვაქვს, რომ ეკოლოგიაზე ზრუნვა ჩვენი მოვალეობაა. ჩვენს მიერ განხორციელებული აქტივობებიდან გამოვარჩევდი ხეების დარგვის აქციას სკოლის ტერიტორიაზე. ასევე დავასუფთავეთ მდინარის მიმდებარე ტერიტორია. მიხარია, რომ კლუბის წევრი ვარ.

P.S. მინდა ჩემი პირადი აღფრთოვანება გამოვხატო იმ წესრიგის მიმართ, რაც სკოლის ეზოში შესვლისთანავე იგრძნობოდა. დიახ, გარემოზე ზრუნვა, ხომ იმ ადგილიდან იწყება, სად ცხოვრობ და სწავლობ. დამერწმუნეთ, რომ რველის საჯარო სკოლა სუფთა, მოვლილი ეზოთი და გაწკრიალებული კლასებით ამის თვალსაჩინო მაგალითია. წარმატებები მინდა ვუსურვო აღნიშნული კლუბის ყველა წევრს, პედაგოგებსა და მოსწავლეებს, რომლებიც არიან მაგალითი იმისა, რომ ცნობიერების ამაღლებას და შემდგომ მის პრაქტიკაში დანერგვას უდიდესი როლი აქვს.

მოამზადა ნატო მელიქიძემ

შასლიმესი ისტორიის ფურცლებიდან

საინტერესოა ვიცოდეთ, რომელი სამკურნალო დაწესებულებები იყო ბორჯომის რაიონში 1933-1940-იან წლებში?

90 წლის წინათ ქ. ბორჯომში არსებობდა საქალაქო საბჭოსა და საკურორტო სამმართველოს სამკურნალო დაწესებულებები.

საქალაქო საბჭოს ეკუთვნოდა 2 პოლიკლინიკა - ერთი ოქტომბრის რევოლუციის სახელობის (დღევანდელი კოსტავას სახელობის) პარკში, მეორე ჩარხისწყალზე - საავადმყოფო, დისპანსერი, ჯანდაცვის პუნქტი და აფთიაქი.

დღევანდელ კოსტავას სახელობის პარკში პოლიკლინიკას ეკავა 12 ოთახი. შინაგანი დაავადების კაბინეტს ემსახურებოდა 2 ექიმი, ქირურგიულს, ბავშვთას, თვალის კაბინეტს, სტომატოლოგიურს, ვენერიულს, ფიზიოთერაპიულს, გინეკოლოგიურს თითო ექიმი.

პოლიკლინიკა უფასოდ ემსახურებოდა ქ. ბორჯომის მუშა-მოსამსახურეებს, მოაგარაკეებისათვის და უცხო პირებისათვის მომსახურება ღირდა 3 მანეთი. ერთ სამუშაო დღეში პოლიკლინიკა 200-მდე ავადმყოფს ემსახურებოდა.

1933 წლის პირველ კვარტალში პოლიკლინიკა მოემსახურა 6770, მეორე კვარტალში - 7011 ავადმყოფს.

ჩარხისწყლის პოლიკლინიკაში გახსნილი იყო დაახლოებით ისეთივე სამკურნალო კაბინეტები, როგორც ქალაქში. 1933 წლის პირველ და მეორე კვარტალში პოლიკლინიკა შესაბამისად მოემსახურა 5817 და 4397 ავადმყოფს.

საავადმყოფო განლაგებული იყო ქალაქის ცენტრში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე 25 თებერვალის, (დღევანდელ გ. სააკაძის ქუჩაზე), სადაც მოქმედებდა თერაპიული, გინეკოლოგიური, ქირურგიული, სისხლის გადასხმის ბანაკი, რენტდგენო-კაბინეტი და ლაბორატორია. საავადმყოფოში იყო 70 საწოლი. ექიმთა რაოდენობა: ქირურგი - 2 (ერთი იმავე დროს რენტგენოლოგი), საავადმყოფოს ემსახურებოდა ორი თერაპევტი, გინეკოლოგი - ერთი და 11 - მედდა.

1933 წლის 1 კვარტალში საავადმყოფო მოემსახურა 554 ავადმყოფს, მეორე კვარტალში - 496 ავადმყოფს.

საავადმყოფო განლაგებული იყო ხის ორსართულიან შენობაში და ეკავა 25 ოთახი.

დისპანსერს დღე-ღამეში შეეძლო 40 ავადმყოფის მომსახურება. ჯანდაცვის პუნქტი დღე-ღამეში ემსახურებოდა 15 ავადმყოფს.

საკურორტო პოლიკლინიკას გააჩნდა თერაპიული, ქირურგიული, გინეკოლოგიური, ნერვიული, თვალის, ყელ-ყურ-ცხვირის, ბავშვთა და სტომატოლოგიური კაბინეტები.

წლების მიხედვით საკურორტო პოლიკლინიკაში გატარებულ ავადმყოფთა საერთო რაოდენობა ასეთია: 1928 წელს 2362 ავადმყოფმა იმკურნალა, 1929 - 4187, 1930 - 3738, 1931 - 4475, 1932-3969, 1933 - 2353 ავადმყოფმა იმკურნალა.

მომსახურების გადასახდელი თანხა დადგენილი იყო შემდეგნაირად:

1. სანიტორიული ავადმყოფებისათვის გადასახდელი თანხა მკურნალობისათვის შედიოდა საგზურის ღირებულებაში.

2. დასასვენებელ სახლის ავადმყოფები და დამსვენებლებისათვის კავშირის წევრებისა და კოლმეურნეებისათვის გადასახადი იყო 6 მანეთი.

3. კერძო პირებისათვის 8 მანეთი.

4. ამბულატორიის წიგნაკში აღირიცხებოდა ექიმის 2 მიღება და აბაზანები ორი კვირის მანძილზე, ღირებულება დასასვენებელი სახლების ავადმყოფ-დამსვენებლებისათვის, კავშირის წევრებისათვის და კოლმეურნეებისათვის - 57 მანეთი, კერძო პირებისათვის - 72 მანეთი.

5. კონსულტაცია ექიმთან - 9 მანეთი.

საკურორტო პოლიკლინიკის ორსართულიანი შენობა მდებარეობდა სასტუმრო „ბორჯომის“ უკანა მხარეს. ამ პოლიკლინიკის ნარჩენები დღესაც იმავე ადგილზეა.

მოამზადა ჭალერიან ლომიძემ.

ახალგაზრდობა იმედი ხვალის..!

დღეს ბევრს საუბრობენ იმასთან დაკავშირებით, რომ საკმაოდ თამამი თაობა მოდის. ხშირად ვხვდებით ქუჩაში საკმაოდ გამომწვევად ჩაცმულ და თამამი ქცევების მქონე გოგო-ბიჭებს, რომლებისთვისაც ალბათ ალმაცერად ყველას გაუხედავს, ან მათი უზნეო საქციელი რომ არ მოგვწონებია, შენიშვნაც კი მიგვიცია. პირადად მეც ვყოფილვარ მომსწრე და თვითმხილველი მათი უზნეო საქციელის და რამდენჯერმე დედა-შვილური რჩევაც კი მიმიცია. ვერ ვიტყვი, რომ არ მომისმინეს, წყნარად, დინჯად ისმენდნენ ჩემ საუბარს, მე პირადად როგორც მოზარდების დედას, უკვე ძალიან მაწუხებს მათი უსაქციელობა. მათი გარკვეული ნაწილი ხშირად შემინიშნავს გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის ეზოში, სადაც სიგარეტს ეწევიან და არც თუ იშვიათად ალკოჰოლურ სასმელებსაც მიირთმევენ და მოზარდებს შორის სამწუხაროდ, გოგონები სჭარბობენ ვაჟებს. ერთხელ როდესაც მორიგი დედა-შვილური დარიგება მივეცი მათ, რომ ახალგაზრდა გოგონები არიან, მომავალი დედები, რომლებიც აქედანვე უნდა ზრუნავდნენ საკუთარ ჯანმრთელობაზე, ხმა არ ამოუღიათ, დინჯად მიკრავდნენ თავს და საუბრის დასრულების შემდეგ ტერიტორიასაც მალევე გასცილდნენ. ჩემი „დედა-შვილური დამოძღვრის“ შემდეგ მეგობართან მქონდა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საუბარი, ჩემი გულისტკივილი გამოვთქვი, რომ არ მინდა, ჩემმა შვილებმა მაგალითი მათგან აიღონ, როდესაც ვხედავ ბავშვები ასე იქცევიან, შენიშვნას ვაძლევ-თქო და იცით, რა მითხრა მეგობარმა? დარწმუნებული იყავი, რომ იმ ახალგაზრდა გოგონების დედები სახლში ეწევიანო და შენ რამდენჯერაც არ უნდა მისცე მათ შენიშვნა, მაინც იგივეს გაიმეორებენო. ნამდვილად დამაფიქრა მეგობრის ნათქვამმა და დიახ, ბავშვი ხომ ოჯახის სარკეა და რაც არ უნდა გარემო ფაქტორებიდან უარყოფითი მუხტი მოდიოდეს, ოჯახში, როდესაც სიმშვიდე და ადამიანური ურთიერთობებია, ის ცუდის გაკეთების უფლებას არასდროს მისცემს საკუთარ თავს. არ მინდა, ისე გამომივიდეს, რომ თამამ და უზნეო თაობას ვუწევდეთ პროპაგანდას, თუმცა აუცილებელია, რომ საკუთარი გულისტკივილი გამოვხატოთ. მე პირადად მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მეშინია, ასეთი თაობის, რომლებიც ვითომ უჩუმრად, თვალთაგან დამალულად ცდილობენ საკუთარი უარყოფითი ქცევის დამალვას, მინდა, რომ ამავე თაობაში უაღრესად წესიერი და მხოლოდ განვითარებაზე ორინტირებული თაობაც არ ვახსენო. რამდენჯერ შემინიშნავს მუსიკალური სკოლის მიმდებარედ არსებულ სკამ-მაგიდასთან მსხდომი ახალგაზრდები, წიგნებითა და რვეულებით ხელში, გულდასმით რომ წერენ და კითხულობენ. უკვე აბიტურიენტები, რომლებმაც პირველი ცხოვრებისეული ნაბიჯები უნდა გადადგან დამოუკიდებლად და ცოტა უმცროსი ასაკისებიც. რამდენიმე მათგანს გავესაუბრე კიდეც და მინდა ჩვენმა მკითხველებმაც იცოდნენ, რას ფიქრობენ მართლაც მოაზროვნე თინეიჯერები საკუთარ მომავალზე და ასევე საკუთარ თანატოლებზეც კი.

ნინი 17 წლის: - სკოლაში წარჩინებით ვსწავლობ. წელს კი აბიტურიენტი ვარ და მინდა სამედიცინოზე ჩავაბარო. სრულიად უსასყიდლოდ დავდივარ საბუნებისმეტყველო საგნის პედაგოგთან, რომელიც პირველ რიგში ჩემი მეგობარიცაა, სამწუხაროდ, მშობლებს არ აქვთ იმის საშუალება, რომ ყველა საგანში გადაეხადათ ჩემთვის თანხა, თუმცა იმის გამო, რომ სკოლაში კარგად ვსწავლობ და ჩემმა პედაგოგებმა იციან ჩემი შესაძლებლობების შესახებ, თვითონვე გამოთქვეს სურვილი, რომ ჯგუფში, სადაც 5 აბიტურიენტი ყავთ ერთი მეც ვყოფილიყავი. მე გამიმართლა პედაგოგებში და იმის შესახებ საუბარი, რომ მასწავლებლებს მხოლოდ ფული აინტერესებთ, ტყუილია. ყველა პედაგოგმა იცის საკუთარი მოსწავლის შესაძლებლობები და როდესაც ის ყოველმხრივ ცდილობს, რომ გვერდით დაუდგეს მას და დამატებით მისთვის დროც გამოყოს, ნამდვილად დასაფასებელია.

ლიზა 16 წლის: - ორ წელიწადში მიწევს სკოლის დასრულება და საერთაშორისო ურთიერთობებზე მინდა ჩავაბარო. გასული წლიდან შევუდექი აქტიურად ინგლისურისა და რუსულის გარდა ფრანგულის და თურქულის სწავლას. ონლაინ მოვძებნე უცხო ენის სასწავლო ცენტრი, სადაც საღამოს საათებში მიმდინარეობს სწავლა და რაც მთავარია, შაბათ-კვირასაც არის შესაძლებელი ონლაინ გაკვეთილებზე დასწრება, რაც კიდევ უკეთესი შესაძლებლობაა, რომ თავისუფლად დავეუფლოთ დამატებით უცხო ენებს და ხელიც არ შემეშალოს სკოლის საგნების ათვისების პროცესში. მთელი დღე დაგეგმილი მაქვს, ფაქტიურად, დრო არ მრჩება ხოლმე არაფრისთვის, თუმცა ძალიან კარგად ვიცი, რომ ეს ჩემი მომავლისთვისაა საჭირო, რადგანაც დღეს ძალიან დიდი შესაძლებლობაა იმისთვის, რომ ჩვენ თავისუფლად შევძლოთ ჩვენივე ცოდნით როგორც ჩვენივე ქვეყანაში არსებულ უნივერსიტეტებში ვისწავლოთ, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

თორნიკე 15 წლის: - იურიდიულზე ვაპირებ ჩაბარებას, რადგანაც მგონია, რომ კარგი იურისტი ყოველთვის საჭიროა. ამ ყველაფრისთვის კი ყოველდღიურად ვმუშაობ, ვსწავლობ შესაბამის საგნებს, უცხო ენებს. დამატებით ვვარჯიშობ კიდეც, რადგანაც ჯანსაღი ცხოვრების წესი ყველა ასაკში მნიშვნელოვანია. პირადად მე მყავს მეგობრები, რომლებიც სამწუხაროდ, სიგარეტს ეწევიან და ხშირად მითქვამს მათთვის საყვედურიც, რომ ვარჯიშს არაფერი ჯობია, რომ სიგარეტის მოწევა მათ ჯანმრთელობას ვნებს. სამწუხაროდ, მათი მშობლებიც ასე იქცევიან. მე პირადად არანაირი სურვილი არ მაქვს, რომ სიგარეტი მოვწიო. ჩემ მომავალზე ვფიქრობ და დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩემი ცოდნა, საშობლოს სასიკეთოდ ნაადგეს.

ნიკა 17 წლის: - ხშირად მესმის ჩემი თანატოლებისგან, რომ არაფერი არ ხდება ბორჯომში, არც გართობისთვის, არც განათლებისთვის, მაგრამ ალბათ პრობლემა ისევ ჩემ თანატოლებშია. როცა რაღაცის სწავლა გინდა, შეგიძლია ისწავლო. ტრენინგ ცენტრი არსებობს, ასევე არსებობს მედია ცენტრი, სადაც ახალგაზრდებს ყოველთვის თავაზობენ განსხვავებულს, საინტერესოს. გვაქვს სპორტსკოლა, სადაც უფასოდ ისწავლება სპორტის ყველა სახეობა, მუსიკალურ სკოლაში შეგვიძლია უფასოდ დავეუფლოთ მუსიკას. მთავარია, ინტერესი და სურვილი შეისწავლო შენთვის საინტერესო. სამხატვრო აკადემიაში ვაპირებ სამომავლოდ სწავლის გაგრძელებას და იმედს ვიტოვებ, რომ ჩემი მონდომება და ინტერესი აღნიშნული სფეროს მიმართ შედეგს აუცილებლად გამოიღებს.

ნატალია მესხელი

სამადლობელო წერილი რედაქციას

№1 საჯარო სკოლის IXა კლასის მშობლები მადლიერებას გამოვხატავთ ამავე სკოლის ბიოლოგიის მასწავლებლის და შესანიშნავი პოეტის მარიზა ჯიქიას მიმართ, ჩვენი შვილების მიმართ გაწეული შრომისა და დაფასებისათვის.

არიან პედაგოგები, რომლებიც მხოლოდ საგნობრივი პროფესიონალიზმით იღვწვიან, მაგრამ არიან ისეთი პედაგოგებიც, რომლებიც თავიანთი მრავალმხრივი შესაძლებლობებით ცდილობენ ახალგაზრდების განვითარებას.

მადლობა მარიზა მასწავლებელო იმისათვის, რომ ჩვენ შვილებს უზიარებთ საკუთარ ცოდნასა და პოეზიას, მადლობა ნდობისათვის, რომ წაეკითხათ თქვენი ლექსები „ტვ. ქართულის“ სტუდიაში, სადაც მიწვეულები იყვნენ, რომელიც შესანიშნავად გამოუვიდათ.

9 აპრილი – სისხლიანი გაზაფხული

სარაიონო ბიბლიოთეკაში გვეწვივნენ №6 საჯარო სკოლის ისტორიის კლუბის წევრები: თორნიკე ტალახაძე, საბა კოსი, ელისაბედ ბალიანი, ბარბარე გელაშვილი, მარიამ ბუზალაძე, მართა გელაშვილი, მარიამ გრიგალაშვილი, მარიამ ხუციშვილი, მარიამ დავიდიანი, ელენე გელაშვილი.

მოსწავლეებს მიესალმა და 9 აპრილის უდიდეს მნიშვნელობაზე ესაუბრა მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი, ქალბატონი ნაირა ამანათაშვილი.

სიმღერა 9 აპრილის გმირების თავდადებაზე შეასრულეს **ლევან ნოზაძემ** და **ელენე ხაჩიძემ,** ლექსი წაიკითხა **საბა კოსმა.**

შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა ღონისძიების ორგანიატორი, ისტორიის პედაგოგი, ქალბატონი **მარინა ბერუაშვილი.**

მადლობა პედაგოგს **ქალბატონ მარინა ბერუაშვილს** მოსწავლეების კარგი მომზადებისათვის და სკოლის დირექტორს, **ქალბატონ ქეთინო ხაჩიძეს,** წიგნის სიყვარულის მოსწავლეებში დანერგვისათვის.

„დედა ენის“ დღე ბიბლიოთეკაში

დედა ენის დღე შესანიშნავი სიტყვით გახსნა ბიბლიოთეკის დირექტორმა, ქალბატონმა **ნაირა ამანათაშვილმ**ა. იმ დღეს სტუმრად გვყავდნენ ქალაქის სკოლების მოსწავლეები.

№4 საჯარო სკოლის მოსწავლემ **ანა ტულუშმა** გააკეთა პრეზენტაცია „დედა ენის“ შესახებ, №6 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა **ტასიკო ხაჩიძემ** შესანიშნავად მოამზადა საშუალო ასაკის მოსწავლეები, რომელთა გამოსვლაც ოვაციას იწვევდა დამსწრე საზოგადოებაში. ბოდიშს ვიხდი, ყველას გვარს ვერ ჩამოვთვლი, იმდენი სითბო და სიყვარული, სათნოება გამოსჭვიოდა დედა ენის სიწმინდის და მისი ღირსების დაცვა-შენარჩუნებისათვის. წაიკითხეს მწერლების და პოეტების ლექსები, პირადად მე მართლაც უზომოდ მიყვარს ლადო ასათიანი და მის ლექსებში ყველაფერია ჩაქსოვილი.

„სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ,
ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ“.

იაკობ გოგებაშვილმა თავის უკვდავ წიგნს ,,დედა ენა“ უწოდა. როდესაც დიდი მწერალი გარდაიცვალა, დახეული ფეხსაცმელი და გაცრეცილი ჟილეტი ეცვა, მთელი ქონება რაც გააჩნდა, სასკოლო დაწესებულებებს დაუტოვა. მხოლოდ ასეთი დიდსულოვანი ადამიანები ქმნიან ერისათვის შესანიშნავ ნაწარმოებებს და წიგნებს.]

თემატურ საღამოს ლაიტმოტივად გასდევდა ილიას შეგონება: **„მამული, ენა, სარწმუნოება“** - შემდეგ **ტასიკო ხაჩიძე** საკუთარი ლექსით და სიტყვით გამოვიდა, თაყვანს ვცემთ მის ნიჭიერებას!

ბიბლიოთეკების ღონისძიებების კოორდინატორმა ისაუბრა ქართული ენის სიყვარულზე და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო დედა ენისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.

ვესტუმრეთ რველის სასოფლო ბიბილიოთეკას (ბიბლიოთეკარი **ნანა სამხარაძე**). აღფრთოვანებულები წამოვედით ბავშვების ბრწყინვალე გამოსვლით, რომლებმაც ლექსებთან ერთად მუსიკალური ნორმებიც შეასრულეს. სასურველია ბიბლიოთეკას უკეთესი მუშაობის პირობები ჰქონდეს.

იმავე დღეს ვეწვიეთ კორტანეთის ბიბლიოთეკასაც (ბიბლიოთეკარი **მანანა თორთლაძე**), სადაც მოსწავლეებმა დიდებულად წარმოაჩინეს დედა ენისადმი მიძღვნილი ზეიმი. მადლობა მათ სკოლის ბიბლიოთეკის გვერდში დგომისათვის, ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების შესანიშნავად აღნიშვნისათვის, რადგან ,,დედა ენა“ ქართველთა პირველი და ძვირფასი ძეგლია. მადლობა ბიბლიოთეკებს აქტიული საქმიანობისათვის.

წერილები მოამზადა **ნანული სალაღაიამ,**
ბიბლიოთეკების ღონისძიებების კოორდინატორი.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

სათხილამურო სეზონი დასრულდა

13 აპრილს საქართველოს სამთო-სათხილამურო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი გაიმართა. შეჯიბრში მონაწილეობა მიიღეს: აჭარის, გუდაურის, თბილისის, ბაკურიანისა და მესტიის ნაკრებმა გუნდებმა. სამთო-მოთხილამურეებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან სამ ასაკობრივ ჯგუფში იასპარეზეს. ბაკურიანელ მოთხილამურეთაგან წარმატებას მიღწიეს შემდეგმა სპორტსმენებმა:

სპეციალური სლალომი, გოგონები, დაბადების წელი 2010-2011 - **ანასტასია პიბლიანი, პირველი ადგილი.**

გოგონები, 2008-2009 - **ნელი უსტიმენკო, პირველი ადგილი, ნინო გეორქოვი, მეორე ადგილი.** ვაჟები - **ალექსანდრე გეორქოვი, მესამე ადგილი.**

მოზრდილები და იუნიორები, ვაჟები, - **ნოდარ კოზანაშვილი, პირველი ადგილი; ოთო წულეისკირი, მეორე ადგილი; საბა ხაჩიძე, მესამე ადგილი.**

გიგანტური სლალომი, დაბადების წელი 2010-2011, გოგონები: **ანასტასია პიბლიანი, პირველი ადგილი.**

გოგონები 2008-2009, **ნინო გეორქოვი, პირველი ადგილი.**

მოზრდილები და იუნიორები, ვაჟები: **ნოდარ კოზანაშვილი, პირველი ადგილი; ოთო წულეისკირი, მესამე ადგილი.**

ასევე გამოვლინდნენ 2024 წლის საქართველოს სამთო-სათხილამური თასის მფლობელებიც.

ბავშვები I, დაბადების წელი 2010-2011, გოგონები. **ანასტასია პიბლიანი, მეორე ადგილი.**

ბავშვები II, დაბადების წელი 2008-2009, გოგონები: **ნინო გეორქოვი, პირველი ადგილი, ნელი უსტიმენკო, მესამე ადგილი.**

მოზრდილები და იუნიორები, დაბადების წელი 2007 და უფროსი ასაკი, ვაჟები: **ნოდარ კოზანაშვილი, პირველი ადგილი, ნიკოლოზ ბოგოლაძე, მეორე ადგილი.**

სპორტსმენების დაჯილდოება საღამოს სასტუმრო „მარკო პოლოს“ ტერიტორიზე გაიმართა. პრიზიორები სპეციალური პრიზებით დაჯილდოვა „სილქნეტმა“, „თიბისიმ“, „ბთის ტრასების საგენტომ“, „იესტრიმმა“, „ალტერბრიჯდა“, „სილქჰოსფითალითიმ“, „ნეპტუნმა“, „უაით რებითმა“, „თამაშობანამ“, „რიფაინიდმა“, „ლავ ტუტომ“, „ვაკემ“ და „ქესი ქომ“. დაჯილდოების შემდეგ გაიმართა კონცერტი **საღამე კორკოტაშვილის** შესრულებით.

ბაკურიანის სათხილამურო გუნდის მწვრთნელები ლაშა გავვა, სუსანა გავვა, დავით და ირაკლი ნასყიდაშვილები მადლიერებას გამოხატავენ კოხტა გორისა და დიდველის სასრიალო არეალების ადმინისტრაციის და თანამშრომლების მიმართ, რომელთა დიდი ხელშეწყობითაც სეზონის დამთავრების შემდეგ ბაკურიანელმა სპორტსმენებმა ნაყოფიერად ივარჯიშეს აღნიშნულ ტრასებზე ჩემპიონატზე წასვლის წინ. ასევე მადლობა ყოფილ სპორტსმენებს გიორგი გიორგაძესა და იბრაგიმ ჯანიძეს, რომლებიც დაეხმარენ ბავშვებს და დიდველის მიმდებარედ მდებარე კერძო სასრიალო ტრასა მთლიანად მათ დაუთმეს სავარჯიშოდ.

ამით დასრულდა 2023-2024 წლის სეზონი.

რუსუდან სხირტლაძე

მზია აბრამაშვილის სხოვნას

1 წელია, რაც **მზია აბრამაშვილს** მოგონებებითა და დიდი სიყვარულით ვიხსენებთ. ბევრი თბილი სიტყვა და წუთები დაგვიტოვა გასახსენებლად. გვაკლია მისი გულმართალი და მუდამ ღიმილიანი სახე, იმედით რომ გვავსებდა თითოეულ თანამშრომელს. უყვარდა და მთელ გულსა და სულს დებდა, რათა მოსწავლეებს შეემეცნათ მუსიკის განუზომელი სამყაროს ბგერათა ჰარმონია.

ნათელი ჰქონოდეს ჩვენი მზია მასწავლებლის სულს იმიერში.

ბორჯომის სამუსიკო სკოლა

გახსენება

სოფლის დიდიგულშემატკივარი



ქვეყნის მშენებლობაში თავისი წილი აგური ნამდვილად აქვს დადებული ჩემს პაპას, სოფელ ბეშეთის მკვიდრ **პაკაკი ლომიძეს.** წლების მანძილზე მემანქანედ მუშაობდა. კეთილსინდისიერი მუშაობისათვის მრავალი ჯილდო ჰქონდა მიღებული.

შესანიშნავი ოჯახი შექმნა მეუღლესთან ზინა გიორგაძესთან ერთად. შვიდი შვილი აღუზარდა სამშობლოს და რაც მთავარია, აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში.

პაპას ძალიან უყვარდა სოფელი, სადაც დაიბადა და გაიზარდა, მისი ფიქრები მთელი ცხოვრების მანძილზე თავს დასტრიალებდა სოფლისთვის ზრუნვას. უსაზღვროდ იღვწოდა სოფლისთვის. მისი დიდი ბრძოლით და მონდომებით სოფელში გაყვანილი იქნა ელექტროდენი, მოეწყო სამანქანე გზა, აშენდა სასმელი წყლის სათავე და ყველა ოჯახში მივიდა ნანატრი წყალი. მდინარე მტკვარზე აშენდა ხიდი სოფელ ზანავსა და ცენტრალურ სამანქანე გზასთან დასაკავშირებლად, მისივე დიდი ბრძოლით სოფელში მოეწყო ბაქანი სამგზავრო მატარებლის გაჩერებისათვის, რამაც დიდი შეღავათი მისცა არა მარტო ბეშეთის, არამედ სოფელ ზანავის მოსახლეობასაც. მე ბავშვი ვიყავი და კარგად მახსოვს, განცხადებებს როგორ გზავნიდა მოსკოვში (მაშინ ყველაფერი იქ წყდებოდა), რათა ეს ყველაფერი გაკეთებულიყო სოფელში.

სიცოცხლის ბოლომდე იბრძოდა სოფლისთვის სახელის მინიჭებისათვის (სოფლის მოსახლეობა მიწერილი ყავდათ ვარდგინეთზე), მან ვერ მოასწრო ამ საქმის ბოლომდე მიყვანა და მისმა ვაჟმა სერგო ლომიძემ გააგრძელა და სისრულეში მოიყვანა შეწყვეტილი საქმე, დიდი მადლობა მას.

ნათელში იყო აკაკი ლომიძის სული, რომელმაც დაუღალავი შრომით და ბრძოლით ამდენი კეთილი საქმე გააკეთა მშობლიური სოფლისათვის.

შვილიშვილი თამარ ლომიძე.

დათო სახელაშვილის გახსენება

14 წელია უშენოდ ვცხოვრობთ. არც გვჯერა, რომ ამდენი ხანი გავიდა უშენოდ. მაგრამ სანამ ვცოცხლობთ, ჩვენს გულებში იცოცხლებ ჩვენთან ერთად. ძალიან ძნელია ოჯახის წევრის დაკარგვა, მითუმეტეს ძალღონით სავსე ახალგაზრდის. რამდენი საქმე დაგრჩა გასაკეთებელი, მუხთალმა შემთხვევამ მოულოდნელად შეწყვიტა შენი სიცოცხლე, მოულოდნელად და თავზარდამცემად. გვეგონა ამხელა ტკივილს ვერ გადავიტანდით, თუმცა არ ნელდება ამ დანაკლისით გამოწვეული სიცარიელის შეგრძნება. ვცხოვრობთ უშენოდ, ჩუმად და მშვიდად, მეტი რა დაგვრჩენია. ვლოცულობთ შენთვის. უფალს ებარებოდე, ჩვენო დათო!

შენი დედა და და

მიშიკო ოგანეზოვის, სამფელ ხაჩატურიანის, დათო პოპოვის და ალან შგაევის გახსენება

20 წელი გავიდა იმ ავადსახსენებელი და თავზარდამცემი დღიდან. დრო მიდის, ცხოვრება გრძელდება, გაზაფხული ისევ დადგა, მაგრამ ის საზარელი დღე არ გვავიწყდება. გაზაფხულივით მშვენიერები იყავით, ბიჭებო, ახალგაზრდები და სისხლსავსეები, ენერგიულები, მომავლის გეგმებით და იმედებით სავსენი. შუაზე გაწყდა თქვენი ბობოქარი სიცოცხლე. გულები დაგვიხეთქეთ, იმედი წაგვართვით და სამუდამო დაღი დაგვასვით.

არ უნდა უკვდებოდეთ მშობლებს შვილები...

თქვენი მშობლები

ბორჯომის საზოგადოებრივი დარბაზის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბორჯომის ყოფილი სატყეო ტექნიკუმის დირექტორი, უმაღლესი კლასის პედაგოგი, ბორჯომზე და ბორჯომელებზე უსაზღვროდ შეყვარებული **ნუგზარ ნიქარიშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილი ოჯახს.